განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი: 28-27 ნოემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 18 იანვარი, 2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **204864548** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | **ბიზნესის ადმინისტრირება** |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Business Administration ) |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration 02 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2019 წლის 27 ივნისის 141 გადაწყვეტილებით |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რომან მამულაძე<br>სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიო ხუნდაძე,<br>შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

*სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) „ბიზნესის ადმინისტრირების“* სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია **ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.**
,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. მათ შორის:

- პროგრამის სავალდებულო კრედიტები - 70 კრედიტი (სავალდებულო სასწავლო კურსები-35, კვლევითი პროექტი-5, პროფესიული პრაქტიკა - 10, სამაგისტრო ნაშრომი - 20);
- პროგრამის არჩევითი კრედიტები - 50 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია 8 მოდულად; მოდულისთვის სავალდებულო კურსები - სულ 35 კრედიტი (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“- 45 კრედიტი), მოდულისთვის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“- 5 კრედიტი).

პროგრამა შედგება როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსებისაგან, ისე სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულებისგან, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთს. სულ 8 ასეთი მოდულია:

1. ფინანსები და საბანკო საქმე;
2. მენეჯმენტი;
3. ადმიანური რესურსების მენეჯმენტი;
4. საერთაშორისო ბიზნესი;
5. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;
6. მარკეტინგი;
7. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;
8. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ 2019 წელს გაიარა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N37; 27.06.2019) და მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია.
2020 წელს *„ბიზნესის ადმინისტრირების“* სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა ცვილება და დაემატა არჩევითი მოდული “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი”.

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილება განხილულია ფაკულტეტის საბჭოს **2020 წლის 27 ივლისის N7 სხდომაზე.**
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მოდულის დამატება განხორციელდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2020 წლის 30 ივლისის სხდომაზე** N76/2020.
პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (უნივერსიტეტის საბჭოს 30 ივლისის გადაწყვეტილება N76/2020) ეცნობა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურს შემდგომი რეაგირებისთვის (08.09.2020, N 8619/01-06-03).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული შემოწმება განხორციელდა მონიტორინგის ფარგლებში, მონიტორინგის საფუძველი იყო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020 წლის 8 სექტემბრის №793561 და 16 სექტემბრის №846350 წერილები, რომლის შესაბამისად, დაწესებულებამ ცენტრს აცნობა, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში განახორციელა ცვლილებები და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 30-ე მუხლის შესაბამისად, მოახდინა ცენტრის ინფორმირება.

ამავდროულად, ცენტრში შემოვიდა აკადემიური პერსონალის საინიციატივო ჯგუფის 2020 წლის 15 სექტემბრის №839335 და 2 ნოემბრის №935868 საჩივარი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებების შესახებ. განცხადებებში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში შევიდა ცვლილებები, რომელსაც, მათი მოსაზრებით, არ აქვს დადებითი შედეგი.

აღნიშნულის საფუძველზე, პროგრამის მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 26 და 27 ნოემბერს.

უნივერსიტეტში შეფასების განხორციელებამდე, დისტანციურ რეჟიმში ორჯერ მოხდა ექსპერთა ჯგუფის წევრების (რომან მამულაძე, სოფიო ხუნდაძე) შეხვედრა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. შეხვედრის დროს განხორციელდა ექსპერთა ჯგუფის წევრების მიგნებებისა და ხედვების გაზიარება წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალაში ასახულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს პროცესში "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისათვის და ცენტრში შემოსული მასალების, და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვნილი დოკუმენტების საფუძველზე.

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის **გასაუბრება შედგა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების - Zoom პროგრამის გამოყენებით.**

26 ნოემბერს უმაღლეს დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში დისტანციურ რეჟიმში 13.00 საათიდან დაიწყო და 19.00 საათამდე გაგრძელდა სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან.

სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც წინასწარ იყო შეთანხმებული უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, შედგა შეხვედრა/გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან (უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირები, აკადემიური საბჭოს წევრები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან (დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, საჩივრის საინიციატივო ჯგუფის წევრებთან (იგულისხმება ცენტრში შემოსული 2020 წლის 15 სექტემბრის №839335 და 2 ოქტომბრის №935868 განცხადებები), მოდულის შექმნის ინიციატორებთან და ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან.

საავრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული 27 ნოემბრის შეხვედრების დაწყებამდე, დილის 10.00 საათზე შედგა შეთანხმებული შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან, ხოლოს 10.45 საათიდან განახლდა შეხვედრა/გასაუბრება პროგრამაში ჩართულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან (პროგრამის კომიტეტთან, ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან).

ვიზიტის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრება მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დიალოგი ატარებდა კონსტრუქციულ ხასიათს, ჯგუფის წევრებისთვის საინტერესო ყველა საკითხებთან მიმართებაში მიღებულ იქნა ამომწურავი პასუხები.

ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებამ შეუქმნა შესაბამისი სამუშაო გარემო, დაწესებულებამ გამართულად უზრუნველყო შეხვედრების ორგანიზება და ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ცენტრში შემოსული მასალების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და ცენტრში შემოსული განცხადებებში მოცემული გარემოებების გამოკვლევასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტამდე დაგეგმილ წინასწარ შეხვედრებზე შეთანხმდნენ, რომ შეისწავლიდნენ აკრედიტაციის ***პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობას.***

**პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის პირველ სტანდართან.**

„ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია გლობალური შრომის ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები, ანალოგიური პროგრამების შემუშავების კუთხით უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების რეკომენდაციები.

„ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი **„ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება"** სრულ შესაბამისობაშია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **მისიასთან (ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა; ცოდნის გენერირება და გავრცელება; სამეცნიერო კვლევების განვითარება; აკადემიური თავისუფლების დაცვა; სტუდენტსა და უნივერსიტეტის პერსონალზე ზრუნვა; თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეული წევრობა).**

პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან.

პროგრამა შედგება როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსებისაგან, ისე სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულებისგან, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთს. სულ რვა ასეთი მოდულია:

1. ფინანსები და საბანკო საქმე;
2. მენეჯმენტი;
3. ადმიანური რესურსების მენეჯმენტი;
4. საერთაშორისო ბიზნესი;
5. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;
6. მარკეტინგი;
7. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;
8. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

**საგანმანათლებლო პროგრამის არჩვითი სასპეციალიზაციო მოდული უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების შესაბამის სფეროში ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას და/ან გაფართოებას.**

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამაში განხორციელებული ცვლილების მიზანშეწონი-ლობასთან დაკავშირებით დასვა კითხვები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, საჩივრის საინიციატივო ჯგუფთან, ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. საინიციატივო ჯგუფმა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების საფუძვლად დაასახელეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და დასაქმების საიტებზე (მაგ.https://www.jobs.ge\) განთავსებული განცხადებები ვაკანსიების შესახებ. ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა პროგრამაში განხორციელებული ცვლილების მიზეზად დაასახელა დასაქმების საიტებზე (მაგ.https://www.jobs.ge\) განთავსებული განცხადებების ვაკანსიების შესახებ, გლობალურ ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვლილებები და ტენდენციები. ექსპერთა ჯგუფმა თხოვა საინიციატივო ჯგუფს და უნივერსიტეტს მოექწოდებინათ ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა ექსპერთა ჯგუფისთვის აღნიშნული ანგარიში მოწოდებული არ ყოფილა.

საჩივრის საინიციატივო ჯგუფთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პროცედურული ნაწილი პრინციპში არ დარღვეულა.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საურველია პროგრამებში ცვლილებების განხორციელებას წინ უძღოდეს შრომის ბაზრის კვლევა, რაც დადასტურდება შესაბამისი დოკუმენტით

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** აკრედიტაციის პირველი სტანდარტის პირველ კომპონენტის მოთხოვნებთან (1.1 პროგრამის მიზნები).

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ, ახალი მოდულის "ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" დამატებამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. სახეცვლილი პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსები.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს დასაქმების სფეროებია საწარმოები (ფირმები), ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები, არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსეროვნულ კორპორაციები და მათ ფილიალები, სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებს წარმატებით იმუშაონ საშუალო და ზედა

რგოლის მენეჯერებად, ექსპერტებად და ანალიტიკოსებად. ასევე, სწავლა გააგრძელონ დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

პროგრამის სწავლის შედეგები, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს

ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფმა დასვა შეკითხვა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოდულის დამატებამ გამოიწვია სწავლის შედეგების კორელაცია, შესაბამისად, უნივერსიტეტმა აღნიშნული ცვლილებების შესახებ დროულად აცნობა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ვიზიტის დროს ექსპერთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით და დამატებით მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტის მოწოდება. სწავლის შედეგების რუკის არსებობა დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, რომელიც შედგენილია 2019 წლის 20 ივნისს. უნივერსიტეტის მიერ სწავლის შედეგების რუკა დამატებითი დოკუმენტების სახით იქნა მოწოდებული.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში აისახოს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და დაერთოს საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** აკრედიტაციის პირველი სტანდარტის მეორე კომპონენტის მოთხოვნებთან (1.2 პროგრამის სწავლის შედეგები).

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ, მოდულის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ დამატება არ მოითხოვს პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობების რაიმე სახით ცვლილებას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მოდულის დამატებიდან გამომდინარე ცვლილება 2019 წელს პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ არ განხორციელებულა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://www.tsu.ge/

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** აკრედიტაციის მეორე სტანდარტის პირველ კომპონენტის მოთხოვნებთან (2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის #100 დადგენილებით). წესი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანისა და პროგრამების განვითარების საკითხს (მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა).

დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განახლება/პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის, ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ინიციატივით, ან კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფს სამსახურთან შეთანხმებული ცვლილების პროექტი წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობის თხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების პროექტს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ცვლილება, კერძოდ, მოდულის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ დამატება განხორციელდა აღნიშნული წესის შესაბამისად.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება მოხდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული რამდენიმე პერსონალის მიერ. ცვლილებები შეფასებისათვის წარედგინა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტს. აღნიშნულმა კომიტეტმა 2020 წლის 17 ივლისის სხდომაზე განიხილა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხი. კომიტეტის სხდომაზე განხილული და დამტკიცებული ცვლილებები შეთანხმდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა წარმოდგენილი ცვლილებები (ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის #7 გადაწყვეტილება), რის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე აკადემიურმა საჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი 2020 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე და დაამტკიცა წარდგენილი ცვლილების პროექტი.

რაც შეეხება თავად მოდულის დამატების საფუძველსა და საკითხის შესწავლას, აღსანიშნავია ცვლილების ინიციატორი ჯგუფის მიერ განხორციელებული ანალოგიური პროგრამების შესწავლის ანგარიში, რომლის თანახმადაც მოხდა რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის გაანალიზება და გამოცდიელბების გათვალისწინება, ანალოგიური სასწავლო კურსების შემუშავება. ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე.

მოდულის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ მოცულობაა 50 კრედიტი და მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე, არჩევით სასწავლო კურსებს. კერძოდ, 35 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო, 15 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს. მოდულის ფარგლებში შემავალი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები შედის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროსთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობაში, ამდენად, მოდულის შინაარსი შესაბამისობაშია პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი) და მოდულის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსები მონაწილეობენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში.

მოდულით გათვალისწინებული კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია და სათანადოდაა განსაზღვრული კომპონენტზე დაშვების წინაპირობები.

მოდულის ფარგლებში გვხვდება სასწავლო კურსები („ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა“, „ტალანტების მართვა ორგანიზაციაში“), სადაც სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რასაც მიესალმება ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ პროგრამა არ მოითხოვს ინგლისური ენის ცდონის დადასტურებას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, შესაძლებელია ვერ იქნას უზრუნველყოფილი სასწავლო კურსებზე ისეთი სტუდენტების დაშვება, რომელსაც ექნება ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის დამუშავების შესაძლებლობა. ამდენად, რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები მიეთითოს დამატებით ლიტერატურაში.

რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს თანამშრომლეთა შეფასების მოდელებთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლებელია საკითხები გაერთიანებული იყოს

სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა“ ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშვებას.

ინტერვიუების საფუძვლეზე დასტურდება მოდულის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების განხორციელების პროცესში ჩართულობა და მხარდაჭერა. ინტერვიუების დროს დასახელდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა მოდულზე მუშაობის პროცესში. მაგალითად, აკადემიური პერსონალის მიერ დასახელდა უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური შინაარსის პროგრამების შესწავლის კუთხით პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობა და დასახელდა კონკრეტული გამოცდილებების გაზიარების შესახებ ინფორმაცია.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://www.tsu.ge/

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის** მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის მოთხოვნებთან (2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი).

მოდულში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ძირითადი სწავლის სფეროს შემადგენელი სასწავლო კურსებია, აღნიშნული სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და თავად სასწავლო კურსების შინაარსს.

სასწავლო კურსებში აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (მაგისტრატურა). კერძოდ, სამაგისტრო საფეხურის დონეზე შესაძლებელია და სათანადო ისეთი შედეგების მიღწევა, როგორიცაა შეფასება და ანალიზი, პროცესების მართვა, კონკრეტული საკითხების სიღრმისეული აღწერა, პრობლემების იდენტიფიცირება და გადაწყვეტა, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება, კონკრეტული სტრატეგიების გამოყენება, დანერგვა და ა.შ.

რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტად გაზომვა და შეფასება. მაგალითად, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში გვხვდება სწავლის ისეთი შედეგები, როგორიცაა „შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა“, „საკუთარი სწავლის პროცესის ქრონოლოგიური შეფასება“ (სასწავლო კურსი: ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი), რომელთა მიღწევა ან სტუდენტის მიერ განხორციელება სასწავლო კურსის ფარგლებში რთულად შესაფასებელი იქნება.

მოდულის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სათანადო სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები (ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, შემთხვევის ანალიზი, დისკუსიები, პრეზენტაციები, ჯგუფური განხილვები, როლური და სიტუაციური თამაშები და სხვა), რაც იძლევა შესაძლებლობას მიღწეულ იქნას სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები“ აღწერა).

სასწავლო კურსების ფარგლებში ფასდება აღწერილი სწავლის შედეგები და ამ მიზნით გამოიყენება შეფასების სათანადო მეთოდები. კერძოდ, სასწავლო კურსებში, სადაც აღწერილია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის, მაგალითად „ორგანიზაციის, სამუშაოს და საქმიანობის დიზაინის პროექტირება“, „მოტივაციის სისტემის განხორციელება“, „კონპეტენციებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების იდენთიფიცირება“ და სხვა, ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები,

შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გათალისწინებულია ისეთი დავალებები, როგორიცაა სიტუაციის ანალიზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღწერილი შედეგების დემონსტრირება, ან მაგალითად, სადაც აღწერილია სწავლის ისეთი შედეგები, როგორიცაა „ორგანიზაციული კონფლიქტის მოგვარების ინოვაციური მიდგომების გამოყენება“, „ორგანიზაციებში კონფლიქტური სიტუაციების და სტრესული მდგომარეობის ურთიერთკავშირის გაანალიზება“, „საკუთარი არგუმენტების წარდგენა აკადემიურ ან პროფესიულსაზოგადოებასთან შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით“, „ორგანიზაციული კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის საკუთარი სტრატეგიის განსაზღვრა“, „ეფექტიანი მოლაპარაკებების წარმართვის მონახაზის გაკეთება“ გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდი, როგორიცაა სტუდენტის მიერ მომზადებული პროექტის შეფასება, სადაც სტუდენტებს ეძლევათ დავალება შეიმუშავონ სტრატეგიული გეგმები ბიზნესის სფეროს შერჩევით, კომპანიის (იმიტაციური) შექმნით და სემესტრის ბოლო ლექციაზე მოახდინონ მათი პრეზენტაცია, რაც აღწერილი სწავლის შედეგების დემონსტრირების შესაძლებლობას იძლევა, ან მაგალითად, სასწავლო კურსები სადაც სწავლის შედეგად აღწერილია ანალიზისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება „საკუთარი მოსაზრებების აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან შესაბამისი პროფესიული ლექსიკის გამოყენებითა წარდგენა“, „მოსმენის ხელოვნების უნარის საფუძველზე დაამყარის სწორი კომუნიკაცია და დასკვნების გაკეთება“, „დამაჯერებელ მსჯელობა სათანადო ტერმინებისა და თეორიული არგუმენტირების გამოყენებით. ლოგიკურად დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება“ და სხვა, გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრეზენტაციების შეფასება, სიტუაციის ანალიზი, რაც შესაძლებელს ხდის შეფასდეს თუ რამდენადაა მიღწეული სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებით აღწერილი სწავლის შედეგები.

მოდულის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს. ძირითად ლიტერატურად მითითებულია სასწავლო კურსების განმახორციელებლების მიერ შემუშავებული საკითხავი მასალა, რომელიც მომზადებულია უახლესი, თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებით. დამატებით მასალად გამოყენებულია ასევე უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, ყოველივე ზემოაღნიშნული დარგში მიმდინარე პროცესების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის** მეორე სტანდარტის მესამე კომპონენტის მოთხოვნებთან (2.3. სასწავლო კურსი).

მოდული „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ გარკვეულწილად უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას. მოდულის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსები ითვალისწინებს საკმაოდ დიდი მოცულობის პრაქტიკული მეცადინეობის საათები, კერძოდ ჯამში 450 საკონტაქტო საათიდან პრაქტიკული მეცადინების საათებს ეთმობა 300 საათი (მთლიანი საკონტაქტო საათების 2/3), რაც გარკვეულ დონეზე უზრუნველყოფს მოდულის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარების გამომუშავებას. აღნიშნული პრაქტიკული მეცადინეობები ითვალისწინებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა სიტუაციების ანალიზი, პროექტების მომზადება, როლური და სიტუაციური თამაშები და სხვა, რაც შესაძლებელს ხდის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას.

პრაქტიკული უნარების კიდევ უფრო მეტად განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტს (პრაქტიკა, 10 კრედიტი), რაც იძლევა აღნიშნული უნარების სტუდენტებისთვის კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას.

მოდული უზრუნველყოფს კვლევითი უნარების განვითარებას სავალდებულო სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ საშუალებით. კომპონენტი უზრუნველყოფს ისეთი

შედეგების მიღწევას, როგორიცაა, კვლევის დიზაინის შემუშავება, კვლევის ჰიპოთეზების განსაზღვრა, თვისებრივი და რაოდენობრივი  კვლევის მეთოდების შერჩევა კონკრეტული ბიზნეს სიტუაციებისათვის, კვლევის აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის შეგროვება, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნების გაკეთება, კვლევის შედეგების ანგარიშის მომზადება და ა.შ. მოდული სტუდენტებს დამატებით სთავაზობს არჩევით სასწავლო კურსს „მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის საშუალებით“, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა ისეთი კვლევითი უნარების გამომუშავებას, რომელიც კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას უკავშირდება.

კვლევითი უნარების განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი, 20 კრედიტი), რაც იძლევა აღნიშნული უნარების სტუდენტებისთვის კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია აკრედიტაციის** მეორე სტანდარტის მეოთხე კომპონენტის მოთხოვნებთან (2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება).

მოდულის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სათანადო სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები (ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, შემთხვევის ანალიზი, დისკუსიები, პრეზენტაციები, ჯგუფური განხილვები, როლური და სიტუაციური თამაშები და სხვა), რაც იძლევა შესაძლებლობას მიღწეულ იქნას სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

მაგალითად, სასწავლო კურსებში, სადაც აღწერილია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის, მაგალითად „ორგანიზაციის, სამუშაოს და საქმიანობის დიზაინის პროექტირება“, „მოტივაციის სისტემის განხორციელება“, „კონპეტენციებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების იდენთიფიცირება“ და სხვა, ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც გამოყენებულია სწავლების ისეთი აქტივობა, როგორიცაა კონკრეტული სიტუაციების განხილვა და ანალიზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღწერილი შედეგების გამომუშვება და განვითარება, ან მაგალითად, სადაც აღწერილია სწავლის ისეთი შედეგები, როგორიცაა „ორგანიზაციული კონფლიქტის მოგვარების ინოვაციური მიდგომების გამოყენება“, „ორგანიზაციებში კონფლიქტური სიტუაციების და სტრესული მდგომარეობის ურთიერთკავშირის გაანალიზება“, „საკუთარი არგუმენტების წარდგენა აკადემიურ ან პროფესიულსაზოგადოებასთან შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით“, „ორგანიზაციული კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის საკუთარი სტრატეგიის განსაზღვრა“, „ეფექტიანი მოლაპარაკებების წარმართვის მონახაზის გაკეთება“, გამოყენებულია ისეთი აქტივობა, როგორიცაა ჯგუფური განხილვები, როლური და სიტუაციური თამაშები, სტუდენტის მიერ პროექტის მომზადება, სადაც სტუდენტებს ეძლევათ დავალება შეიმუშავონ სტრატეგიული გეგმები ბიზნესის სფეროს შერჩევით,  კომპანიის (იმიტაციური) შექმნით და სემესტრის ბოლო ლექციაზე მოახდინონ მათი  პრეზენტაცია, რაც აღწერილი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ან მაგალითად, სასწავლო კურსები, სადაც სწავლის შედეგად აღწერილია ანალიზისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება „საკუთარი მოსაზრებების აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან შესაბამისი პროფესიული ლექსიკის გამოყენებითა წარდგენა“, „მოსმენის ხელოვნების უნარის საფუძველზე დაამყარის სწორი კომუნიკაცია და დასკვნების გაკეთება“, „დამაჯერებელი მსჯელობა სათანადო ტერმინებისა და თეორიული არგუმენტირების გამოყენებით, ლოგიკურად დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება“ და სხვა გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა,

რაც შესაძლებელს ხდის გამომუშვებულ იქნას კომუნიკაციის უნართან, აზრის ფორმულირებასთან დაკავშირებით აღწერილი სწავლის შედეგები.მოდულის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (მაგისტრატურა) და შესაძლებელს ხდის სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებასა და განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** მეორე სტანდარტის მეხუთე კომპონენტის მოთხოვნებთან (2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები).

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და შესაბსამისად, მოდულის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ ფარგლებში სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასება მოიცავს სხვადასხა კომპონენტების შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში მინიმუმ 11 – 21 ქულის მიღება სასწავლო კურსის შესაბამისად, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50%. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება.

მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „2.3 სასწავლო კურსი“ აღწერა).

მოდულის ფარგლებში რიგ შემთხვევებში (სასწავლო კურსები: ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტი, მონაცემთა  კვლევა და ანალიზი SPSS-ის  საშუალებით) შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებულია მხოლოდ ტესტური ტიპის შეკითხვები (შეკითხვა მრავალი პასუხით). აღნიშნული სასწავლო კურსები აღწერენ სწავლის ისეთ შედეგებს, როგორიცაა „ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტის შემუშავების პროცესის ინიცირება და მისი ორგანიზაციაში დანერგვა“, „ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტის მეშვეობით კომპანიის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება“, „კომპანიის არქიტექტურისა და სტრატეგიის ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტთან შესაბამისობაში მოყვანა“ (სასწავლო კურსი: ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტი), ან, როგორიცაა „რთული პრობლემების აღმოჩენა მონაცემთა კვლევა-ანალიზისას და მათ გადასაწყვეტად ახალი, ორიგინალური გზების ძიება მულტიდისციპლინურ თუ უცნობ გარემოში“, „SPSS-ის გარემოში მრავალმხრივი ანალიზისა და ტესტების საფუძველზე მიღებული რთული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება“, „SPSS -ის გარემოში კვლევითი პროექტის შექმნა და დამოუკიდებელი კვლევა - ანალიზი აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის, ფაქტორული, რეგრესიული  ანალიზისა და გრაფიკების გამოყენებით“, „პროექტის კვლევისა და ანალიზის შედეგების წარდგენა, საკუთარი დასკვნებითა და არგუმენტებით“ (სასწავლო კურსი: მონაცემთა  კვლევა და ანალიზი SPSS-ის  საშუალებით). აღნიშნული შედეგები უკავშირდება სტუდენტთა ისეთ უნარებს, რომელთა შეფასება რთულია ტესტური ტიპის დავალებებით. ამდენად, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და აღწერილი სწავლის შედეგების გათვალისწინების მიზნით რეკომენდირებულია აღნიშნული სასწავლო კურსების შემთხვევაში შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ტესტური ტიპის შეკითხვები, არამედ, შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც უკეთ

უზრუნველყოფენ სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგების გაზომვასა და შეფასებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოდულის სასწავლო კურსების მიმდინარეობისას, შუალედური შეფასებების ფარგლებში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახელებული შედეგების გაზომვასა და შეფასებას, მაგალითად ზეპირი გამოკითხვა სემინარული მეცადინეობების დროს, პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობა, სადაც ხდება დავალებების ტუდენტის მიერ დამოუკიდებლად შესრულება, თემატური პრაქტიკული დავალება, რომელიც ითვალისწინებს SPSS-ის სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით მონაცემთა კვლევა-ანალიზს და შედეგების გრაფიკულ წარმოდგენას და ა.შ. თუმცა შუალედურ და დასკვნით გამოცდებს ჯამში ეთმობა საბოლოო შეფასების დიდი წილი, 60% (60 ქულა), რაც ტოვებს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ სტუდენტმა შესაძლებელია დადებითი შეფასება მიიღოს მხოლოდ შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულების დაგროვების შედეგად და შუალედური შეფასებების სხვა კომპონენტების ჩაბარების გარეშე, ამასთან, აღნიშნული თეორიული შესაძლებლობა იზრდება როცა შუალედური შეფასების ზღვარია 11 ქულა. ასევე, სასწავლო კურსის „მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის საშუალებით“ შემთხვევაში სტუდენტი 5 ქულას აგროვებს პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების შედეგად (პრაქტიკულ მეცადინეობებზე მაგისტრანტის დასწრება ფასდება მაქსიმუმ - 5 ქულით, ხოლო დასწრების ყოველი საათი ფასდება 5/30 = 0,67 ქულით), რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ზემოაღნიშნულ შესაძლებლობას. სასურველია მოდულის ცალკეულ სასწავლო კურსებში არ მოხდეს სტუდენტის შეფასება პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრების კრიტერიუმით.

მოდულის სასწავლო კურსების შეფასების სისტემა დეტალურადაა წარმოდგენილი სილაბუსებში. შეფასების სისტემა გამჭვირვალე და ნათელია.

სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს აკადემიური პერსონალის მხრიდან სწავლის შედეგებზე, მათი გაუმჯობესების გზებზე, მათ აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ მიღებული შედეგი, სააპელაციო პროცედურები კარგადაა ცნობილი პროგრამის სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** მეორე სტანდარტის მეექვსე კომპონენტის მოთხოვნებთან (2.6. სტუდენტების შეფასება).

**პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ცენტრში შემოსული საჩივრიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის ყურადღების ქვეშ იყო, რომ პროგრამაში განხორციელებულმა ცვლილებებმა ხომ არ შეაფერხა პროგრამის განვითარება, ან ხომ არ შეუქმნა პროგრამის განხორციელებას საფრთხე.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში, რომელიც შედგენილია 2019 წლის 20 ივნისს, მეოთხე სტანდარტი პირველი კომპონენტი შეფასებულია, როგორც **"შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".**

ექსპერტთა ჯგუფმა მიზნად დაისახა დაეზუსტებინა ის გარემოება, თუ რამდენად შეიცვალა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა (აღნიშნული ანგარიშის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 69 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის აკადემიური პერსონალია 48 (მათგან პროფესორი 9, ასოცირებული პროფესორი 28, ასისტენტ-პროფესორი 11), ხოლო მოწვეული პერსონალი - 21. აკადემიური პერსონალის სრული შემადგენლობა აფილირებულია. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი შეადგენს 61-ს) და გააჩნიათ თუ არა პროგრამის ახალი მოდულის განმახორციელებელ პერსონალს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ პროგრამაში განხორციელებულ

ცვლილებებს არ გამოუწვევია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ ახალი მოდულის სასწავლო კურსები შემუშავებულ იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის“ კათედრის წევრების მიერ, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები. ასევე არ შეცვლილა ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა.

საჩივრის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის“ კათედრა, რომელმაც შეიმუშავა ახალი მოდული, დაკომპლექტებულია მათი (მენეჯმენტისა და ადმინისტრირების) კათედრის ყოფილი თანამშრომლებისაგან და გააჩნიათ მათ მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესაბამისი კვალიფიკაცია.

„ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ მოდულის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტის პირველი კომპონენტის მოთხოვნებთან (4.1 ადამიანური რესურსი).

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში, რომელიც შედგენილია 2019 წლის 20 ივნისს, მეოთხე სტანდარტის მეორე კომპონენტი შეფასებულია, როგორც **“შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.**

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მოდულის “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი” დამატება არ ცვლის აღნიშნული სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობის მაჩვენებელს და არ აფერხებს პროგრამის განხორციელებას/განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტის მეორე კომპონენტის მოთხოვნებთან (4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება).

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ახალი სასწავლო კურსების შესაბამისი სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფის საკითხით. წარმოდგენილ დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მოდულის სასწავლო კურსების - ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა, ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტი, ემოციური ინტელექტი და მართვა, კვლევის მეთოდები, ლიდერობა, მენეჯმენტი გლობალურ გარემოში, მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის საშუალებით, ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში, ტალანტების მართვა ორგანიზაციაში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი რიდერები და ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომლის საფუძველზეც შედგენილია აღნიშნული რიდერი, ხოლო დამატებით ლიტერატურაში ძირითადად უკანასკნელ წლებში გამოცემული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები. ცალკეულ სასაწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში მითითებულია როგორც ქართული სახელმძღვანელოები, ისე სასწავლოკურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი რიდერები (სოციალური ფსიქოლოგია (მითითებულია 1.ბალიაშვილი მ., სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, “მწიგნობარი”, 2013. 413 გვ. ხელმისაწვდომია ელექტრონული ვერსია, 2. Shelley E.Taylor, Letitia Anne Peplau, David O.Sears Social Psychology. Tenth Edition /შესაბამისი მასალის ქართული თარგმანი), შრომის ბაზრის რეგულირება გლობალიზაციის პირობებში (მითითებულია საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, ავტ. კოლექტ., რედაქტორები: ნინო ბაქაქური, თეიმურაზ თოდრია, ზაქარია შველიძე, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/projectdocumentation/wcms_627047.pdf და ლექტორის ჰენდაუთი), ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი (1.ცვლილებების მართვა-

სახელმძღვანელო, ირმა დიხამინჯია, თბილისი-2018, 2. თემატური რიდერი-თამარ ღამბაშიძე), კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა (მითითებულიან. ფარესაშვილი, ,,კონფლიქტების მართვა'', თბილისი, 2012 წ., გვ. 344. და რიდერი, გვ.99, შემდგენელი ასოც. პროფესორი ნინო ფარესაშვილი).

სასწავლო კურსების რიდერების არსებობის შესახებ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით 26 ნოემბერს შედგა შეხვედრა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან. ტექნიკური მიზეზების გამო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ვერ შეძლო ეკრანის გაზიარება და ელექტრონული მასალების ჩვენება.

27 ნოემბერს შედგა შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან, რომელმაც დაადასტურა, რომ მასალები ბიბლიოთეკაში ნამდვილად არსებობს, უფრო მეტიც, მან უზრუნველყო „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის" კათედრის წარმომადგენლების ჩართვა შეხვედრაში, რომლებიც იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში (კათედრაზე) და წარმოადგინეს კათედრის თანამშრომლების მიერ დამუშავებული სასწავლო კურსების რიდერების ბეჭდური ვერსიები.

მასალა თანამდროვეა, ეფუძნება დარგის მიღწევებს და გამოწვევებს. ფაკულტეტი აგრძელებს მსოფლიო ბესტსელერების თარგმნის და სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკას.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტის მესამე კომპონენტის მოთხოვნებთან (4.3 მატერიალური რესურსი).

ექსპერთა ჯგუფი შეთანხმდა, დააედგინა პროგრამაში განხორციელებული ცვლილების გავლენა პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე.

ინტერვიუს დროს მსგავსი შეკითხვები დაისვა როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან, ისე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების დროს. მოპასუხე მხარეები აღნიშნავდნენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილი ცვლილება (არჩევითი მოდულის დამატება) და მისი განხორციელება არ უკავშირდება რაიმე ტიპის დამატებით ხარჯებს, საგანმანათლებლო პროგრამა არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანი პროგრამა და უზრუნვეყოფილია მისი ფინანსური მდგრადობა.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა **შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტის მეოთხე კომპონენტის მოთხოვნებთან (4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა)

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს თანამშრომელთა შეფასების მოდელებთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლებელია საკითხები გაერთიანებული იყოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა" ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშვებას;
  - რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლიური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები მიეთითოს დამატებით ლიტერატურაში;
  - რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტად გაზომვა და შეფასება.
  - სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების უფრო მეტად გათვალისწინების მიზნით რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში არსებული კონკრეტული სასწავლო კურსების შემთხვევაში შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ტესტური ტიპის შეკითხვები, განსაკუთრებით სასწავლო კურსებში, რომლითაც განსაზღვრულია ისეთი სწავლის

შედეგების მიღწევა, როგორიცაა „პროცესის ინიცირება და დანერგვა“, „კომპანიის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება“, „ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტთან შესაბამისობაში მოყვანა“, „მრავალმხრივი ანალიზისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება“, „კვლევითი პროექტის შექმნა და დამოუკიდებელი კვლევა - ანალიზი“.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

– პროგრამებში ცვლილებების განხორციელებას წინ უძღოდეს შრომის ბაზრის კვლევა, რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი ანგარიშებით

– პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა დაერთოს საგანმანათლებლო პროგრამას;

– სასურველია მოდულის ცალკეულ სასწავლო კურსებში არ მოხდეს სტუდენტის შეფასება პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრების კრიტერიუმით.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

– ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ფაკულტეტის ძალისხმევას და გაწულ შრომას საგანმანათლებლო პროგრამების, ფაკულტეტის და ზოგადად უნივერსიტეტის განვითარების საქმეში. დასაფასებელია გაწეული შრომის მოცულობა და ხარისხი, დამუშავებულია ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის ახალი სასწავლო კურსები, გათვალისწინებულია ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები, შრომის ბაზრის მოთხოვნები და შედგენილია საინტერესო, საჭირო და დროული სასწავლო მოდულები, თარგმნილია უახლესი ლიტერატურა, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებს სხვა უნივერსიტეტებიც და ამით საკუთარი წვლილი შეაქვთ ეროვნული განათლების სისტემის ხარისხის განვითარების საქმეში.

– არსებული ცვლილებები ამდიდრებს და სრულაიდ ახალ ფუნქციას ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას. მისასალმებელია ფაკულტეტის ხელმძღვანელობის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ერთსულოვნებაც აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, გარდა გამონაკლისებისა

**დამატებითი მოსაზრება:**

– მიუხედავად შექმნილი მცირე არასასიამოვნო გარემოებისა, იმედი გვაქვს რომ ეს არის დროებითი მოვლენა, ნათლად არის გამოკვეთილი გუნდურობის პრინციპი როგორც ფაკულტეტის და უნივერსიტეტის დონეზე. ვფიქრობთ, ეს პროცესი გაგრძელდება და უნივერსიტეტს და ფაკულტეტს ექნებათ მორიგი ახალი წარმატებები.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება“ აკრედიტაცია გაიარა 2019

წლის 27 ივნისს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N37; 27.06.2019)).

2020 წელს პროგრამაში შევიდა ცვლილება და დაემატა „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ არჩევითი მოდული.

პროგრამაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ ახალი მოდულის “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი” დამატება განხორცეილდა უნივერსიტეტში მოქმედი პროცედურის (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა, თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის დადგენილება N100) დაცვით. წარმოდგენილი დოკუმენტებით და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამაში ცვლილების საკითხის ინიცირება მოხდა პროფესორთა ჯგუფის მიერ.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამაში ახალი მოდულის “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი” დამატების საკითხი განხილულ იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „გლობალური გარემოს მენეჯმენტის“ კათედრის სხდომაზე (ოქმი #6, **13 ივლისი 2020 წელი).** კათედრამ თხოვნით მიმართა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამაში ცვლილების განხორციელების აღნიშნული საკითხი განეხილა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი” დამატების საკითხი **2020 წლის 17 ივლისს** განხილული იქნა „ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის“ სხდომაზე. სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია და მოდულის სასწავლო კურსების სილაბუსები ელექტრონული ფოსტით გადზავნილი იქნა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ქალბატონ ეთერ ხარაიშვილის მიერ სხდომამდე ორი დღით ადერე (15 ივლისი, 2020 წ.). აღნიშნული ინფორმაცია მიწოდებული იყო აკრედიტაციის ცენტრში შემოსული წერილის ერთ-ერთი ავტორისთვისაც, რომელზეც მან უპასუხა, რომ ვერ დაესწრება აღნიშნულ შეხვედრას (მიზეზად დასახელებულია განხილვებზე წასვლა).

პროგრამაში ცვლილების საკითხი განხილული იქნა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი #7, 23.07.2020). აღნიშნულ სხდომაზე ასევე იქნა მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთი ცვლილების შესახებ. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდულში „საერთაშორისო ბიზნესი“ არჩევითი სასწავლო კურსი „ოფშორული ბიზნესი“ ჩანაცვლდა სასწავლო კურსით „ელექტრონული ბიზნესი“.

ფაკულტეტს საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია საბჭოს წევრებს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან გასაუბრებით. პროგრამაში ცვლილებების საფუძლად დასახელებულია **„საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტებისთვის მოდულების არჩევანის გამრავალფეროვნება“.**

კენჭისყრის შედეგებით პროგრამაში ცვლილებების მომხრე იყოს ფაკულტეტის საბჭოს 25 წევრი, წინააღმდეგი არავინ.

ფაკულტეტის დეკანმა, თანდართული დოკუმენტებით მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ქალბატონ ირმა გრძელიძეს და თხოვა აკადემიურ საბჭოსთან შუამდგომლობა წარმოდგენილი ცვლილებების დასამტკიცებლად. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ცვლილებები განხორციელდა არა მხოლოდ „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში, არამედ ფაკულტეტზე

მოქმედ „ეკონომიკის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში“ და „ეკონომიკის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაშიც“.

წარმოდგენილი დოკუმენტებით და გასაუბრებით ირკვევა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა პროგრამაში შესული ცვლილების განხორციელების პროცედურული გამართულობა, წარმოდგენილი დოკუმენტების თავსებადობა და მიმდინარე ცვლილებების პაკეტი გადაცა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს განსახილველად.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ მოდულის დამატება განხორციელდა თსუ-ს აკადემიური საბჭოს **2020 წლის 30 ივლისის სხდომაზე N79/2020.**

**გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, პროგრამაში შესული ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამიად, ხოლო პროგრამაში შესულ ცვლილებებს არ გამოწვევია პროგრამის განხორციელების შეფერხება რაიმე სახით და ეჭქვეშ არ დადგა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი.**

დამატებითი მოსაზრება:

დამატებით აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტრუქტურული ერთეულის შექმნის, გაყოფის, საგნების და პერსონალის გადანაწილების საკითხის განხილვა სცდება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის დადგენის საკითხს. აკრედიტაციის მიზნებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებების გათვალისწინებით სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას, ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი და კვალიფიკაციის შესაბამისობა დასტურდებოდეს სათანადო დოკუმენტაციით.

**დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია**

**ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** აკრედიტაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნის პროექტზე

რეკომენდაციები

**– რეკომენდირებულია “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი” მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს თანამშრომელთა შეფასების მოდელებთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლებელია საკითხები გაერთიანებული იყოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა“ ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშავებას;**

პასუხი:

თანამშრომელთა შეფასების მეთოდების სხვადასხვა ასპექტები განიხილება მოდულში წარმოდგენილ სხვადასხვა სასწავლო კურსებში, კერძოდ „ტალანტების მართვაში“. „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის“ სასწავლო კურსში ამ საკითხების გაერთიანება, შესაძლებელია განხილული იქნას, როგორც მოდულის განვითარების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი.

**– რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლიური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები მიეთითოს დამატებით ლიტერატურაში;**

**პასუხი:**

ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების მითითება დამატებით ლიტერატურაში დასაშვებია, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სასწავლო კურსში არსებობს ქართულ ენოვანი სახელმძღვანელო ან რიდერი.

**– რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტად გაზომვა და შეფასება.**

**პასუხი:**

სწავლის შედეგების გაწერის დახვეწა და მათი გაზომვის მეთოდიკის სრულყოფა წარმოადგენს პროგრამის/მოდულის განვითარების აუცილებელ პირობას. აღნიშნული საკითხები მუდმივად განიხილება და შესაბამისი კორექტივები შედის საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულში.2023 წელს დაგეგმილია სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა კვალიფიკაციის ჩარჩოს ახალ მოთხოვნებთან, ამდენად მოხდება სწავლის შედეგების გაწერის დახვეწა.

**– სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების უფრო მეტად გათვალისწინების მიზნით რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში არსებული კონკრეტული სასწავლო კურსების შემთხვევაში შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ტესტური ტიპის შეკითხვები, განსაკუთრებით სასწავლო კურსებში, რომლითაც განსაზღვრულია ისეთი სწავლის 16 შედეგების მიღწევა, როგორიცაა „პროცესის ინიცირება და დანერგვა“, „კომპანიის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება“, „ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტთან შესაბამისობაში მოყვანა“, „მრავალმხრივი ანალიზისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება“, „კვლევითი პროექტის შექმნა და დამოუკიდებელი კვლევა - ანალიზი“.**

**პასუხი:**

ტესტური კითხვების გარდა, არა ტესტური კითხვების გამოყენება შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან აღნიშნული ცვლილება არ ახდენს სასწავლო კურსების სილაბუსების სიღრმისეულ ცვლილებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის ისეთი შედეგების მიღწევა როგორიცაა ანალიზი, შეფასება, დასკვნების დამუშავება ხდება სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული სხვა აქტივობების მეშვეობით. შესაძლებელია სილაბუსებში დაფიქსირდეს ამ აქტივობების შესრულების შეფასების მინიმალური ზღვრები.

ასევე გვინდა შევეხოთ რჩევას შრომის ბაზრის კვლევის შესახებ. თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების რეგულაციების მიხედვით ახალი სასწავლო მოდულის დამატებისას შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება არაა აუცილებელი მოთხოვნა.

*დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პასუხი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე და ერთ-ერთ რჩევაზე. ექსპერთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდაციები რჩება ძალაში. თუმცა, აღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები გავლენას არ ახდენს პროგრამის განხორციელების შეფერხებაზე და პროგრამის შემდგომ განვითარებაზე, ვინაიდან უნივერსიტეტს თავად აქვს დასახული პროგრამის განვითარებაზე სისტემური დაკვირება.*

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>„ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია გლობალური შრომის ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები, ანალოგიური პროგრამების შემუშავების კუთხით უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების რეკომენდაციები.<br>„ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი **„ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება"** სრულ შესაბამისობაშია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **მისიასთან (ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა; ცოდნის გენერირება და გავრცელება; სამეცნიერო კვლევების განვითარება; აკადემიური თავისუფლების დაცვა; სტუდენტსა და უნივერსიტეტის პერსონალზე ზრუნვა; თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეული წევრობა).**<br>პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან.<br>პროგრამა შედგება როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსებისაგან, ისე სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულებისგან, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთს. სულ რვ ასეთი მოდულია:<br>1. ფინანსები და საბანკო საქმე;<br>2. მენეჯმენტი;<br>3. ადმიანური რესურსების მენეჯმენტი;<br>4. საერთაშორისო ბიზნესი;<br>5. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;<br>6. მარკეტინგი;<br>7. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;<br>8. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.<br><br>**საგანმანათლებლო პროგრამის არჩვითი სასპეციალიზაციო მოდული უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების შესაბამის სფეროში ცოდნისა და პრაქტიკული უნარების** |

| |
|---|
| გაღრმავებას და/ან გაფართოებას.<br><br>ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამაში განხორციელებული ცვლილების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით დასვა კითხვები საინიციატივო ჯგუფთან, ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. საინიციატივო ჯგუფმა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების საფუძვლად დაასახელა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და დასაქმების საიტებზე (მაგ.https://www.jobs.ge\) განთავსებული განცხადებები ვაკანსიების შესახებ. ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამაში განხორციელებული ცვლილების მიზეზად დაასახელა დასაქმების საიტებზე განთავსებული განცხადებების ვაკანსიების შესახებ, გლობალურ ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვლილებები და ტენდენციები. ექსპერთა ჯგუფმა სთხოვა საინიციატივო ჯგუფს და უნივერსიტეტს მოექწოდებინათ ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა ექსპერთა ჯგუფისთვის აღნიშნული ანგარიში მოწოდებული არ ყოფილა.<br>საჩივრის საინიციატივო ჯგუფთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პროცედურული ნაწილი პრინციპში არ დარღვეულა.<br>ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საურველია პროგრამებში ცვლილებების განხორციელებას წინ უძღოდეს შრომის ბაზრის კვლევა, რაც დადასტურდება შესაბამისი დოკუმენტით |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ უნივერსიტეტის მისია (https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/)<br>○ თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა (https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2018-2024_93990.pdf)<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ საინიციატივო ჯგუფთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>○ პროგრამებში ცვლილებების განხორციელებას წინ უძღოდეს შრომის ბაზრის კვლევა, რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი ანგარიშებით |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ, ახალი მოდულის "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" დამატებამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. სახეცვლილი პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსები.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს დასაქმების სფეროებია საწარმოები (ფირმები), ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები, არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსეროვნულ კორპორაციები და მათ ფილიალები, სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებს წარმატებით იმუშაონ საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერებად, ექსპერტებად და ანალიტიკოსებად. ასევე, სწავლა გააგრძელონ დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

პროგრამის სწავლის შედეგები, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს

ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფმა დასვა შეკითხვა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოდულის დამატებამ გამოიწვია სწავლის შედეგების კორელაცია, შესაბამისად, უნივერსიტეტმა აღნიშნული ცვლილებების შესახებ დროულად აცნობა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ვიზიტის დროს ექსპერთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით და დამატებით მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტის მოწოდება. სწავლის შედეგების რუკის არსებობა დასტურდება

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, რომელიც შედგენილია 2019 წლის 20 ივნისს. უნივერსიტეტის მიერ სწავლის შედეგების რუკა დამატებითი დოკუმენტების სახით იქნა მოწოდებული.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში აისახოს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და დაერთოს საგანმანათლებლო პროგრამას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (შეფასების თარიღ(ებ)ი: 17 მაისი 2019 დასკვნის წარდგენის თარიღი: 20.06.19)
- ინტერვიუ საინიციატივო ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, საჩივრის საინიციატივო ჯგუფის წევრებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა დაერთოს საგანმანათლებლო პროგრამას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში „ბიზნესის ადმინისტრირება“. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადადგენილი წესით.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ, მოდულის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ დამატება არ მოითხოვს პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობების რაიმე სახით ცვლილებას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მოდულის დამატებიდან გამომდინარე ცვლილება 2019 წელს პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ არ განხორციელებულა.<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://www.tsu.ge/ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები
- დაწესებულების ვებ-გვერდი: https://www.tsu.ge/

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სპეციალობის სავალდებულო კურსებისა და სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულებისგან, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთს.

აკრედიტაციის მომენტში (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N37; 27.06.2019)) პროგრამა ითვალისწინებდა შვიდ მოდულს, კერძოდ:

1. ფინანსები და საბანკო საქმე;
2. მენეჯმენტი;
3. საერთაშორისო ბიზნესი;
4. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;
5. მარკეტინგი;
6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;
7. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

2020 წელს პროგრამაში შევიდა ცვლილება და დაემატა „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" კიდევ ერთი არჩევითი მოდული.
საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია, მათ შორის:

- პროგრამის სავალდებულო კრედიტები - **70 კრედიტი** (სავალდებულო სასწავლო კურსები-35, კვლევითი პროექტი-5, პროფესიული პრაქტიკა - 10, სამაგისტრო ნაშრომი - 20);
- პროგრამის არჩევითი კრედიტები - **50 კრედიტი,** რომელიც წარმოდგენილია 8 მოდულად. მოდულისთვის სავალდებულო კურსები - სულ 35 კრედიტი (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი"- 45 კრედიტი), მოდულისთვის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი"- 5 კრედიტი).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა" (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის #100 დადგენილებით). წესი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანისა და პროგრამების განვითარების საკითხს (მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა).

დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განახლება/პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის, ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ინიციატივით, ან კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფს სამსახურთან შეთანხმებული ცვლილების პროექტი წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობის თხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების პროექტს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ცვლილება, კერძოდ, მოდულის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" დამატება განხორციელდა აღნიშნული წესის შესაბამისად.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება მოხდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული რამდენიმე პერსონალის მიერ. ცვლილებები შეფასებისათვის წარედგინა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო

პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტს. აღნიშნულმა კომიტეტმა 2020 წლის 17 ივლისის სხდომაზე განიხილა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხი. კომიტეტის სხდომაზე განხილული და დამტკიცებული ცვლილებები შეთანხმდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა წარმოდგენილი ცვლილებები (ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის #7 გადაწყვეტილება), რის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე აკადემიურმა საჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი 2020 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე და დაამტკიცა წარდგენილი ცვლილების პროექტი.

რაც შეეხება თავად მოდულის დამატების საფუძველსა და საკითხის შესწავლას, აღსანიშნავია ცვლილების ინიციატორი ჯგუფის მიერ განხორციელებული ანალოგიური პროგრამების შესწავლის ანგარიში, რომლის თანახმადაც მოხდა რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის გაანალიზება და გამოცდილებების გათვალისწინება, ანალოგიური სასწავლო კურსების შემუშავება. ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე.

ცენტრში შემოსული აკადემიური პერსონალის საინიციატივო ჯგუფის (2020 წლის 15 სექტემბრის №839335 და 2 ნოემბრის №935868 საჩივარი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებების შესახებ) განცხადებებში აღნიშნულია, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში შესული ცვლილებები არ არის შესაბამისობაში დადგენილ ნორმებთან და სტანდარტებთან და, - საფრთხეს უქმნის პროგრამის აკრედიტაციას.

განცხადების საინიციატივო ჯგუფთან ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან საგანმანათლებლო პროგრამაში „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" ახალი მოდულის დამატებას. ძირითად მიზეზად ჯგუფის წევრები ასახელებდნენ საგანმანათლებლო პროგრამის ორ სხვადასხვა არჩევით მოდულში („მენეჯმენტი" და „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი") ცალკეული სასწავლო კურსების გამეორებას და „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" ახალი მოდულის ზოგიერთ სასწავლო კურსში ლიტერატურის არ არსებობას.

მოდულის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" მოცულობა შეადგენს 50 კრედიტს და მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე, არჩევით სასწავლო კურსებს. კერძოდ, 35 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო, 15 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს.

ექსპერტთა ჯგუფი არ მიიჩნევს პრობლემად „მენეჯმენტისა" და „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" არჩევით მოდულებში თოთხმეტი სასწავლო კურსიდან სამი სასწავლო კურსის (მენეჯმენტი გლობალურ გარემოში, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა, ლიდერობა) გამეორებას, რადგან მოდულის შინაარსი ამ სახით გამართლებულია და ამასთან ერთად, სტუდენტი სწავლების განმავლობაში პროგრამის სტრუქტურის მიხედვით ირჩევს მხოლოდ ერთ მოდულს და არ ირჩევს ერთზე მეტ მოდულს. შესაბამისად, სტუდენტს პროგრამაზე სწავლის პროცესში არ მიეცემა საგნების დუბლირების შესაძლებლობა, რაც დაარღვევდა პროგრამის სტრუქტურას.

მოდულის ფარგლებში შემავალი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები შედის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროსთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობაში, ამდენად, მოდულის შინაარსი შესაბამისობაშია პროგრამის

მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი) და მოდულის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსები მონაწილეობენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში.

მოდულით გათვალისწინებული კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია და სათანადოდაა განსაზღვრული კომპონენტზე დაშვების წინაპირობები.

მოდულის ფარგლებში გვხვდება სასწავლო კურსები („ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა", „ტალანტების მართვა ორგანიზაციაში"), სადაც სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რასაც მიესალმება ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ პროგრამა არ მოითხოვს ინგლისური ენის ცდონის დადასტურებას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, შესაძლებელია ვერ იქნას უზრუნველყოფილი სასწავლო კურსებზე ისეთი სტუდენტების დაშვება, რომელსაც ექნება ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის დამუშავების შესაძლებლობა. ამდენად, რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლიური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები მიეთითოს დამატებით ლიტერატურაში.

რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს თანამშრომლეთა შეფასების მოდელებთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლებელია საკითხები გაერთიანებული იყოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა" ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშვებას.

ინტერვიუების საფუძვლეზე დასტურდება მოდულის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების განხორციელების პროცესში ჩართულობა და მხარდაჭერა. ინტერვიუების დროს დასახელდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა მოდულზე მუშაობის პროცესში. მაგალითად, აკადემიური პერსონალის მიერ დასახელდა უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური შინაარსის პროგრამების შესწავლის კუთხით პროგრამის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობა და დასახელდა კონკრეტული გამოცდილებების გაზიარების შესახებ ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაში განხორციელებული ცვლილება და „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" არჩევითი მოდულის დამატება საფრთხეს არ უქმნის პროგრამის განხორციელებას და ეხმიანება სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://www.tsu.ge/

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- ცვლილების ინიციატორი გჯუფის მიერ მომზადებული ანალოგიური პროგრამების შესწავლის ანგარიში
- სილაბუსები
- დაინტერესებულ მახარეებთან ინტერვიუს შედეგები
- პროგრამის ხელმძღანელებთან ინტერვიუს შედეგები
- დაწესებულების ვებ-გვერდი: https://www.tsu.ge/

**რეკომენდაციები:**

- ○ რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს თანამშრომლეთა შეფასების მოდელებთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლებელია საკითხები გაერთიანებული იყოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა“ ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშვებას;
- ○ რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლიური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები მიეთითოს დამატებით ლიტერატურაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ადაწყვეტილება N37; 27.06.2019). ამიტომაც, ექსპერტთა ჯგუფის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება. კერძოდ, აღნიშნულმა ცვლილებამ ხომ არ გამოიწვია პროგრამის გაუარესება, შინაარსობრივი, ან რესურსების არასაკმარისობის გზით.

„ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ მოდულში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ძირითადი სწავლის სფეროს შემადგენელი სასწავლო კურსებია, აღნიშნული სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და თავად სასწავლო კურსების შინაარსს.

სასწავლო კურსებში აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (მაგისტრატურა). კერძოდ, სამაგისტრო საფეხურის დონეზე შესაძლებელია და სათანადო ისეთი შედეგების მიღწევა, როგორიცაა შეფასება და ანალიზი, პროცესების მართვა, კონკრეტული საკითხების სიღრმისეული აღწერა, პრობლემების იდენტიფიცირება და გადაწყვეტა, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება, კონკრეტული სტრატეგიების გამოყენება, დანერგვა და ა.შ.

**რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტად გაზომვა და შეფასება.** მაგალითად, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში გვხვდება სწავლის ისეთი შედეგები, როგორიცაა „შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა“, „საკუთარი სწავლის პროცესის ქრონოლოგიური შეფასება“ (სასწავლო კურსი: ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი), რომელთა მიღწევა ან სტუდენტის მიერ განხორციელება სასწავლო კურსის ფარგლებში რთულად შესაფასებელი იქნება.

მოდულის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სათანადო სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები (ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, შემთხვევის ანალიზი, დისკუსიები, პრეზენტაციები, ჯგუფური განხილვები, როლური და სიტუაციური თამაშები და სხვა), რაც იძლევა შესაძლებლობას მიღწეულ იქნას სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები“ აღწერა).

სასწავლო კურსების ფარგლებში ფასდება აღწერილი სწავლის შედეგები და ამ მიზნით გამოიყენება შეფასების სათანადო მეთოდები. კერძოდ, სასწავლო კურსებში, სადაც აღწერილია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის, მაგალითად „ორგანიზაციის, სამუშაოს და საქმიანობის დიზაინის პროექტირება“, „მოტივაციის სისტემის განხორციელება“, „კომპეტენციებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების იდენთიფიცირება“ და სხვა, ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები, შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გათალისწინებულია ისეთი დავალებები, როგორიცაა სიტუაციის ანალიზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღწერილი შედეგების დემონსტრირება, ან მაგალითად, სადაც აღწერილია სწავლის ისეთი შედეგები, როგორიცაა „ორგანიზაციული კონფლიქტის მოგვარების ინოვაციური მიდგომების გამოყენება“, „ორგანიზაციებში კონფლიქტური სიტუაციების და სტრესული მდგომარეობის ურთიერთკავშირის გაანალიზება“, „საკუთარი არგუმენტების წარდგენა აკადემიურ ან პროფესიულსაზოგადოებასთან შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით“, „ორგანიზაციული კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის საკუთარი სტრატეგიის განსაზღვრა“, „ეფექტიანი მოლაპარაკებების წარმართვის მონახაზის გაკეთება“

გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდი, როგორიცაა სტუდენტის მიერ მომზადებული პროექტის შეფასება, სადაც სტუდენტებს ეძლევათ დავალება შეიმუშავონ სტრატეგიული გეგმები ბიზნესის სფეროს შერჩევით, კომპანიის (იმიტაციური) შექმნით და სემესტრის ბოლო ლექციაზე მოახდინონ მათი პრეზენტაცია, რაც აღწერილი სწავლის შედეგების დემონსტრირების შესაძლებლობას იძლევა, ან მაგალითად, სასწავლო კურსები სადაც სწავლის შედეგად აღწერილია ანალიზისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება „საკუთარი მოსაზრებების აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან შესაბამისი პროფესიული ლექსიკის გამოყენებითა წარდგენა“, „მოსმენის ხელოვნების უნარის საფუძველზე დაამყარის სწორი კომუნიკაცია და დასკვნების გაკეთება“, „დამაჯერებელ მსჯელობა სათანადო ტერმინებისა და თეორიული არგუმენტირების გამოყენებით. ლოგიკურად დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება“ და სხვა, გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრეზენტაციების შეფასება, სიტუაციის ანალიზი, რაც შესაძლებელს ხდის შეფასდეს თუ რამდენადაა მიღწეული სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებით აღწერილი სწავლის შედეგები.

მოდულის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს. ძირითად ლიტერატურად მითითებულია სასწავლო კურსების განმახორციელებლების მიერ შემუშავებული საკითხავი მასალა, რომელიც მომზადებულია უახლესი, თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებით. დამატებით მასალად გამოყენებულია ასევე უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, ყოველივე ზემოაღნიშნული დარგში მიმდინარე პროცესების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმისნიტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტად გაზომვა და შეფასება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტს (პრაქტიკა, 10 კრედიტი), რაც იძლევა სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამ,ეცნიერო კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების შესაძლებლობას. პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით კათედრის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელი. ფაკულტეტის ადმინისტრაციას ეკონომიკურ აგენტებთან/სახელმწიფო სტრუქტურებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, ასევე მათი პროფესიული უნარებისა და აკადემიური განვითარებისთვის, რითაც ხელს უწყობს სტუდენტთა მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, სასწავლო სემინარებში, საერთაშორისო შეხვედრებში, კონფერენციებში, ტრენინგებში, სამეცნიერო ექსპედიციებში, სასწავლო-სამეცნიერო და ლაბორატორიულ კვლევებში. უნივერსიტეტის ბაზაზე სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ შესაბამის რესურსებზე, რაც მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებაში, ნოვატორული იდეების გენერირებასა და რეალიზაციაში ეხმარება (მაგ: სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია Fab Lab, ბლუმბერგის საერთაშორისო სასწავლო კვლევითი ლაბორატორია).

მოდული „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ გარკვეულწილად უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას. მოდულის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსები ითვალისწინებს საკმაოდ დიდი მოცულობის პრაქტიკული მეცადინეობის საათები, კერძოდ ჯამში 450 საკონტაქტო საათიდან პრაქტიკული მეცადინების საათებს ეთმობა 300 საათი (მთლიანი საკონტაქტო საათების 2/3), რაც გარკვეულ დონეზე უზრუნველყოფს მოდულის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარების გამომუშავებას. აღნიშნული პრაქტიკული მეცადინეობები ითვალისწინებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა სიტუაციების ანალიზი, პროექტების

| |
|---|
